XIII OLYMPIC WINTER GAMES LAKE PLACID 1980

# ოლიმპიური დროშა აღმართულია

# სოკ-ის სესია ლეიკ-პლესიდში

**ლეიკ-პლესიდი.** 9 თებერვალს დილით, ოლიმპიურ სოფელში დადგენილი რეგლამენტით დაიწყო ოლიმპიური დროშის აღმართვის საზეიმო ცერემონიალი, მასში პირველნი მონაწილეობდნენ არგენტინის, ბულგარეთისა და სსრ კავშირის დელეგაციები. საპარადო ფორმაში გამოწყობილ სპორტსმენთა კოლონები განლაგდნენ მოედანზე, სადაც გამოკიდებულია მონაწილე ქვეყნების დროშები. უზარმაზარი თეთრი დროშა, რომელზედაც გამოსახულია ხუთი ერთმანეთზე გადაჭდობილი რგოლი, აღმართულ იქნა ოლიმპიური ჰიმნის ჰანგებქვეშ. სპორტსმენებს წარმატება უსურვა ოლიმპიური სოფლის მერმა ხ. ორეგომ.

ასეთი ცერემონიალი მთელი დღის განმავლობაში რამდენჯერმე გამეორდა, სანამ ყველა დელეგაციამ საზეიმო მარშით არ გაიარა ეს მოედანი.

ლეიკ-პლესიდში თავი მოიყარეს 36 ქვეყნის სპორტსმენებმა. საბჭოთა დელეგაცია ადგილზეა, გარდა ჰოკეისტებისა, რომლებიც მატჩებს ატარებენ ამერიკელ სპორტსმენებთან. ისინი სხვა ქალაქში ვარჯიშობენ.

დროშის აღმართვის წინ გაიმართა თეთრი ოლიმპიადის ქალაქში საბერძნეთიდან ამერიკელი მორბენალ-მეჩირაღდნეების მიერ ოლიმპიური ცეცხლის ჩამოტანის საზეიმო ცერემონია.

9 თებერვალს საღამოს საზეიმოდ გაიხსნა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესია, რომელიც 12 თებერვლამდე გასტანს. მოსკოვის ოლიმპიადისთვის მზადების მიმდინარეობაზე ინფორმაციით გამოვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, „ოლიმპიადა-80“-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ი. ნოვიკოვი. (საკდესი).

* * *

**9 თებერვალს** ლეიკ-პლესიდში გაიმართა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 82-ე სესია. ოლიმპიური თამაშების ამ ტრადიციული ფორუმის მონაწილეებს ზამთრის ოლიმპიადის ორგანიზატორთა სახელით მიესალმა აშშ-ის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი რ. კეინი. შემდეგ შეკრებილთა წინაშე გამოვიდა სოკ-ის პრეზიდენტი ლორდი კილანინი. მან ილაპარაკა ოლიმპიური მოძრაობის ერთიანობის განმტკიცების აუცილებლობაზე, ოლიმპიური თამაშების გავლენის გაფართოებაზე. სოკ-ის მეთაურმა განაცხადა, რომ მას დაუშვებლად მიაჩნია სპორტის პოლიტიკური მიზნით გამოყენება, ამასთან კილანინმა დამსწრეთ მოაგონა, რომ 1974 წელს ვენაში სოკ-ის სესიაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ XXII ოლიმპიური თამაშები გამართულიყო მოსკოვში, ხოლო XIII ზამთრის თამაშები — ლეიკ-პლესიდში. ეს გადაწყვეტილება, აღნიშნა სოკ-ის პრეზიდენტმა, ურთიერთგაგების განმტკიცების სიმბოლოა.

კილანინმა ხაზი გაუსვა იმას, რომ სოკ-ი პატივს სცემს თავის გადაწყვეტილებებს, „ეს თამაშები, — სოკ-ის თამაშებია, და არა ცალკეული ქვეყნისა“, — თქვა მან და თან ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ოლიმპიური თამაშები ეკუთვნის მთელ მსოფლიოს.

სოკ-ის პრეზიდენტის მტკიცე პოზიციას მხურვალედ დაუჭირეს მხარი სესიის მონაწილეებმა.

შემდეგ გამოსულმა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ს. ვენსმა წარმოთქვა სიტყვა, რომელიც დამსწრეთა საერთო აზრით, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სხდომათა ისტორიაში უპრეცედენტო იყო. „ცივი ომის“ არსენალიდან ნასესხები ტერმინების გამოყენებით სახელმწიფო მდივანმა აშშ-ის პრეზიდენტის სახელით კვლავ წამოაყენა პროვოკაციული მოთხოვნა ოლიმპიური თამაშების გადატანის თაობაზე.

ამერიკის ადმინისტრაციის წარმომადგენლის სიტყვა თავისი არსით საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საქმეში უხეში პოლიტიკური ჩარევის ახალი მაგალითია.

სოკ-ის სესია განიხილავს ოლიმპიური მოძრაობის მრავალრიცხოვან საკითხს. (საკდესი).


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 29 (6590)

12 1980 წ. თებერვალი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან




## ● კალათბურთი

### 25 ქულით

**გუშინ** კიევში დაიწყო კალათბურთელ ვაჟთა გუნდების უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის მეორე ტური, რომელმაც უნდა გამოავლინოს საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტურის ექვსი მონაწილე გუნდი.

შეჯიბრების პირველ დღეს თბილისის დინამოელები ჩემპიონატის აუტსაიდერს ნოვოსიბირსკის „ლოკომოტივს“ ეთამაშებოდნენ. დიდი ანგარიშით 96:71 (46:31) გაიმარჯვეს ქართველმა კალათბურთელებმა.

**თბილისის „დინამო“ ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: ბოროდაჩევი, გრძელიძე, ჯორჯიკია, ჩიხლაძე, ნ. ქორქია, დერიუგინი, გულდედავა, მ. ქორქია, პულავსკი, სინჯარაძე.**

# პანორამა

## ● ფეხბურთი

### ისევ გამარჯვება

**თბილისის** „დინამომ“ თავისი არგენტინული ტურნეს ბოლო მატჩი გამართა ტუკუმანში ადგილობრივ საკლუბო გუნდ „სან მარტინთან“ და გაიმარჯვა ანგარიშით 5:2 (3:1).

აქვე სსრ კავშირის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ამხანაგური შეხვედრა მოუგო ტუკუმანის პროვინციის გუნდს — 2:0.

## ● წყალბურთი

### მასპინძლები დაამარცხეს

**მინსკში,** წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის მესამე ტურში თბილისელებმა დაამარცხეს ხდგილობრივი ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბი — 7:5.

მინსკში სხვა მატჩებმა ასეთი შედეგები მოგვცა: „დინამო“ (კიევი) — „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი) 9:5, „მეხნატი“ (ტაშკენტი) — ფისკ (მინსკი) 6:5, „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (კიევი) 10:7, „სპარტაკი“ — „მეხნატი“ 5:8.

დანარჩენი გუნდები მოსკოვში თამაშობენ. აქ მეორე ტურის შეხვედრები ასე დამთავრდა: „მოსკვიჩი“ — „დინამო“ (ალმა-ათა) 7:7, „დინამო“ (ლვოვი) — მოსკოვის უნივერსიტეტი 6:4, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბი (მოსკოვი) — კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილია (ბაქო) 7:4. მესამე ტურის შეხვედრების შედეგებია: სსფცსკ — „დინამო“ (ალმა-ათა) 3:5, „დინამო“ (ლვოვი) — „მოსკვიჩი“ 2:6, უნივერსიტეტი — კწფ 6:8.

## ● ცურვა

### საბჭოთა სპორტსმენების წარმატება

**პარიზში** გამართულ მოცურავეთა საერთაშორისო შეჯიბრებაში საბჭოთა სპორტსმენებმა მთელი რიგი წარმატებები იზეიმეს: ნ. კაჩიუშიტემ, ი. ბოგდანოვამ და ს. ვარგანოვამ ასეთივე თანმიმდევრობით შევსეს 100 მეტრზე ბრასის სტილით მოცურავეთა საპატიო კვარცხლბეკი. გამარჯვებულის შედეგია — 1.10,48.

ვაჟთა შორის ე. სერედინი პირველი იყო 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში — 56,02, მსოფლიოს რეკორდსმენმა ს. კოპლიაკოვმა გაიმარჯვა 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 1.49,78, ხოლო ა. სიდორენკო საუკეთესო იყო 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — 2.02,66.

## ● ჩოგბურთი

### 2:3

**დევისის** თასის გათამაშებაში (ევროპის ზონა, „ბ“ ჯგუფი) საბჭოთა კავშირის ნაკრების მორიგი მეტოქე იყო საფრანგეთის გუნდი. დაძაბული ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვეს ფრანგმა ჩოგბურთელებმა — 3:2. ეს მატჩი ქალაქ მონპელიეში გაიმართა.

პირველი ორი შეხვედრის შემდეგ ანგარიში საყაიმო იყო — 1:1. შემდეგ წყვილთა თანრიგში ნოა-პორტეს დუეტმა დაამარცხა კაკულია-ბორისოვი (6:4, 6:4, 6:4) და მასპინძლები დაწინაურდნენ. ასპარეზობის ბოლო დღეს საფრანგეთის უძლიერესმა ჩოგბურთელმა ი. ნოამ იოლად მოუგო ს. ლეონიუკს — 6:1, 6:0, 6:2, ვ. ბორისოვმა კი დაამარცხა პ. პორტე — 5:7, 6:2, 6:2, 6:2.

„ბ“ ჯგუფში გამართული სხვა შეხვედრების შედეგები ასეთია: ბელგია — ავსტრია 2:3, რუმინეთი — იუგოსლავია 5:0, ფინეთი — პოლონეთი 5:0.

## ● თბილისის XI საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში







**თბილისის XI** საერთაშორისო ტურნირის ბოლო დღეს სპორტის სასახლეში შეკრებილმა მაყურებლებმა, სპორტსმენებმა, მწვრთნელებმა დიდი სპორტიდან გააცილეს ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი, ევროპის 1975 წლის აბსოლუტური ჩემპიონი, სსრ კავშირის პირველი ქართველი ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი გივი ონაშვილი და ოლიმპიური, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვლადიმერ ნევზოროვი; ოთხი დღის განმავლობაში ასეთი ორთაბრძოლები ხშირი იყო სპორტის სასახლის ტატამზე; აბსოლუტურ წონით კატეგორიაში გამარჯვებული 19 წლის მ. ბერუაშვილი; იაპონელი კ. ხარაგუტი; 95 კგ წონაში თბილისის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულმა დ. ლორენცმა ეს-ეს არის შებოჭა ჰოლანდიელი ადელაარი, რომელიც 160 კგ-ს იწონის.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

●


(ტურნირისადმი მიძღვნილი მასალა იხ. მე-3 გვ.).




## ხვალ ლეიკ-პლესიდში XIII ზამთრის ოლიმპიადის საზეიმო გახსნაა

**ტიროლის** დედაქალაქი ინსბრუკი 1976 წელს მეორედ გახდა „თეთრი ოლიმპიადის“ დედაქალაქი. მასპინძლებმა 12 წლის წინ აგებული ბაზების ნაწილი ახალი ტექნიკით აღჭურვეს, ზოგი რამ შეცვალეს, ოლიმპიური სოფელიც უფრო სრულყვეს. მნიშვნელოვანი სიახლე გახლდათ ბერგიზელის 90-მეტრიან ტრამპლინთან (სადაც თამაშების საზეიმო გახსნა იყო დანიშნული) ოლიმპიური ცეცხლის დასანთები 2 ფიალის მოწყობა — ეს იყო ინსბრუკში ორი თამაშების გამართვის სიმბოლო.

2 თებერვლიდან 15 თებერვლამდე ინსბრუკში, ზეეფელდში, პაჩერკოფელში, აქსამერ ლიცუმში ბრძოლები არ შენელებულა. პირველი ჩემპიონები თამაშების გახსნის (4 თებერვალი) მეორე დღეს გამოვლინდნენ. დარიგებული მედლების სამი კომპლექტიდან ორი საბჭოთა სპორტსმენებს ერგოთ.

ჯერ 1500 მეტრზე მოციგურავე ქალთა ასპარეზობაში გამოიჩინა თავი გ. სტეპანსკაიამ, როცა მანამდე საქვეყნოდ აღიარებული ამერიკელი შ. იანგი ჩამოიტოვა და საციგურაოს რეკორდით (2.16,58) გაიმარჯვა (მეორე საბჭოთა სპორტსმენი ტ. ავერინა III ადგილზე გავიდა), მერე ზეეფელდში ვაჟთა შორის 30 კილომეტრზე რბენა მოიგო ს. საველიევმა — 1:30.29,38. ყველასთვის მოულოდნელად „ვერცხლი“ აქაც ამერიკელს (ვ. კოხი) ერგო, „ბრინჯაო“ ჩვენს ოსტატს ი. გარანინს ხვდა წილად.

ერთი სიტყვით, ოლიმპიადა საბჭოთა ნაკრებმა ტრიუმფით დაიწყო და ეს ტემპი ბოლომდე შეინარჩუნა — თითქმის ყოველდღე ივსებოდა „ოქროს“ მარაგი, სულ უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდებოდა, რომ არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში მისი მეტოქეობა ამჯერადაც არავის შეეძლო.

უფრო მეტიც, ადრინდელი ფავორიტები, ნორვეგიისა და აშშ-ს ნაკრები კოლექტივები ნათლად ხედავდნენ, რომ როგორც 4 წლის წინათ საპოროში, მათ ახლაც მოუწევდათ II ადგილის დათმობა და კვლავ გდრ-ის გუნდთან.

ოლიმპიადის ფინალური შეჯიბრებების მეორე დღეს, 6 თებერვალს, ამერიკელებმა ცოტა ამოისუნთქეს — შ. იანგმა 500 მეტრზე რბენა მოიგო და თანაც ოლიმპიური რეკორდი დაამყარა — 42,76 (ავერინა აქაც მესამე იყო), მაგრამ ოქროს მედლების რაოდენობაში სხვაობა არ შეცვლილა — ნ. კრუგლოვმა ბიატლონში (20 კმ-ზე) გამარჯვებით ბალანსი აღადგინა, ხოლო ა. ელიზაროვმა „ბრინჯაოს“ მოგებით ქულათა სხვაობა კიდევ უფრო გაზარდა.

ამასობაში ავერინამ „მოთელვა დაამთავრა“: ოლიმპიურ სტადიონზე მან 2 დღის მანძილზე ზედიზედ მოიგო 1000 (1.28,43) და 3000 მეტრზე (4.45,19) ციგურებით რბენა და ორივეჯერ ოლიმპიური რეკორდით გაიმარჯვა. მართალია, 1000 მეტრზე II და III ადგილები ამერიკელებმა ლ. პოლოსმა და იანგმა დაიკავეს, მაგრამ ეს საერთო სურათს არ ცვლიდა.

ოლიმპიადის მესამე დღე მოულოდნელობით აღინიშნა: ზეეფელდში, სადაც სულ რაღაც 1 საათში დასრულდა 5 კმ-ზე მოთხილამურე ქალთა შეჯიბრება, ფინელმა ხ. ტაკალომ ყველა ჩამოიტოვა. II-III და IV ადგილები ერგოთ რ. სმეტანინას, გ. კულიკოვასა და ნ. ბალდიჩევას.

XII თამაშების სხვა მოვლენებზე დაწვრილებით აღარ შევჩერდებით, რადგან სპორტის მოყვარულებს ალბათ ჯერ კიდევ კარგად ახსოვთ 4 წლის წინათ გადატანილი ბრძოლების ამბავი. მკითხველს მხოლოდ შევახსენებთ, რომ საბჭოთა ნაკრების თვალსაჩინო წარმატებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს მოთხილამურეებმა — ნ. ზაჟუკოვმა, რომელიც პირველი იყო 15 კმ-ზე რბენაში (ე. ბელიაევმა II ადგილი დაიკავა), რ. სმეტანინამ 10 კმ-ზე (აქ III იყო კულაკოვა) და 4X5 კმ ესტაფეტაში (კულაკოვას, ზ. ამოსოვასა და ბალდიჩევასთან ერთად), ფიგურისტებმა — ი. როდნინამ და ა. ზაიცევმა (წყვილთა სრიალში) და ლ. პახომოვა — ა. გორშკოვის დუეტმა ცეკვებში (ი. მოისეევა-ა. მინენკოვი II ადგილზე გავიდნენ), 500 მეტრზე ციგურაობაში — ე. კულიკოვმა (39,17 ოლიმპიური რეკორდი) და ვერცხლის პრიზიორმა ვ. მურატოვმა, ბიატლონისტებმა 4X7,5 კმ ესტაფეტაში — ა. ელიზაროვმა, ი. ბიაკოვმა, ნ. კრუგლოვმა და ა. ტიხონოვმა.

## საბჭოთა სპორტსმენები ზამთრის ოლიმპიადებზე

# სარეკორდო „მოსავალი“

და ბოლოს ჰოკეისტებმა, რომლებმაც ბოლო დღეს გადამწყვეტი მატჩი ჩეხოსლოვაკიელებს მოუგეს — 4:3.

ეს ოლიმპიადა „ოქროს“ მოსავლით სარეკორდო იყო არა მარტო საბჭოთა ნაკრებისთვის, არამედ საერთოდ „თეთრი თამაშების“ ისტორიაშიც. ერთბაშად 13 პირველი ადგილი აქამდე არავის ღირსებია.

**10 საუკეთესო არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში**

| | ო. | ვ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 13 | 6 | 8 | 192 |
| გდრ | 7 | 5 | 7 | 135 |
| აშშ | 3 | 3 | 4 | 73 |
| გფრ | 2 | 5 | 3 | 71 |
| ავსტრია | 2 | 2 | 2 | 52 |
| ფინეთი | 2 | 4 | 1 | 51 |
| ნორვეგია | 3 | 3 | 1 | 50,5 |
| შვეიცარია | 1 | 3 | 1 | 42 |
| ჰოლანდია | 1 | 2 | 3 | 32,5 |
| იტალია | 1 | 2 | 1 | 29 |

შენიშვნა: ო. — „ოქრო“, ვ. — „ვერცხლი“, ბ. — „ბრინჯაო“, ქ. — ქულები.

დასასრულს გავეცნოთ ოლიმპიადების ისტორიაში ვის როგორი „ოქროს“ მოსავალი ჰქონდა:

სსრ კავშირი (მონაწილეობდა 6 თამაშებში) — 51 ოქრო, ნორვეგია (12 თამაშებში) — 49, აშშ (12) — 30, ფინეთი (12) — 23, შვეცია (12) — 22, ავსტრია (12) — 22, შვეიცარია (12) — 15, საფრანგეთი (12) — 12, გდრ (3) — 12, კანადა (12) — 11.



ნ. კრუგლოვი.

● სამთო სათხილამურო სპორტი

## ოლიმპიელთა გარეშე

**არმიელთა** ნაკრების მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ა. პოპკოვი ჩვეულებრივზე მეტად ღელავდა. მისი გუნდი უამინდობის გამო დროულად ვერ ჩამოვიდა ბაკურიანში საკავშირო ჩემპიონატის III ეტაპში მონაწილეობისთვის. საქართველოს სპორტკომიტეტის სათხილამურო ბაზაზე ისინი მხოლოდ შუაღამისას გამოჩნდნენ, დილით კი პირველი სტარტი ელოდებოდათ.

— ჩემპიონატის ლიდერებთან, დინამოელ მოთხილამურეებთან ბრძოლა ასეთ სიტუაციაში, ცხადია, ძალიან გაგვიძნელდება, მაგრამ მთავარ კონკურენტს სულ რამდენიმე ქულით ჩამოვრჩებით და შევეცდებით ბაკურიანის ტურებში დავეწიოთ მათ.

მწვრთნელის სიტყვებში ღვივდებოდა ოპტიმიზმის ნაპერწკალი.

— მაინც ვის თვლით ფავორიტებად დღეს, „ლეიკპლესიდელთა“ არყოფნისას? — ვეკითხებით ა. პოპკოვს.

— ასეთი 4-5 სპორტსმენია: საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები, სპარტაკელი სინეტოვი და არმიელი არდეევი, სპორტის ოსტატები ნაზაროვი „შრომითი რეზერვებიდან“, ჩვენი გუნდის ყველაზე ახალგაზრდა წევრი ტიმოფეევი, ბურევესტნიკელი იუდინი... მაგრამ უპირატესობას მაინც იგორ იუდინს ვანიჭებ. საქმე ისაა, რომ იგი ახლა საუკეთესო ფორმაშია — წინა ეტაპზე სლავსკოეში მოიგო სწრაფდაშვება, ხოლო სპეციალურ სლალომსა და „გიგანტში“ ოდნავ ჩამორჩა გამარჯვებულებს — ტიმოფეევსა და სინეტოვს. ეს 22 წლის ნიჭიერი მოთხილამურე დამაჯერებლად ლიდერობს ჩემპიონატს ორი ტურის შემდეგ.

მწვრთნელის სიტყვები გამართლდა. იუდინმა „გიგანტის“ პირველივე ცდაში (ტრასის სიგრძე 1370 მ, სიმაღლეთა სხვაობა 370 მ, 58 კარი) საკმაოდ მაღალი დრო აჩვენა — 1.22,9, რაც ამ დღეს საუკეთესო გამოდგა. სინეტოვმაც კარგად აიღო სტარტი, მაგრამ ფინიშთან დაეცა და ბრძოლას გამოეთიშა.

II ცდაში ლიდერმა 1.25,3 აჩვენა. მასზე უკეთესი დრო ჰქონდა მხოლოდ ნოვოსიბირსკელ არმიელს ს. ნოსოვს, მაგრამ ორი ცდის ჯამში იუდინის შედეგი — 2.48,2 — მიუწვდომელი დარჩა. გამარჯვებული მინსკის ფიზკულტურის ინსტიტუტის IV კურსზეა. მას ავარჯიშებს ს. პინეგინი. II ადგილზე გავიდა ნოსოვი — 2.49,4, III იყო სპარტაკელი ი. უტკინი (კამჩატკის პეტროპავლოვსკი) — 2.49,9.

საქართველოს სპორტსმენთაგან, რომლებმაც ამ დღეს სუსტად იასპარეზეს, ყველაზე უკეთ გამოცდილი ს. მიქაბერიძე („სპარტაკი“) დაეშვა. მისი შედეგი (2.58,1) ოცდამეთხე იყო. უნდა ითქვას, რომ 111 მონაწილედან შეჯიბრება მხოლოდ 41-მა დაამთავრა.

**ბაკურიანი -80**



გუშინ კოხტა I-ზე გიგანტურ სლალომში ქალები ასპარეზობდნენ. შეჯიბრებაში 47 სპორტსმენი ჩაება.

1100-მეტრიან ტრასაზე (სიმაღლეთა სხვაობა 350 მ) პირველ ცდაზე 45 კარი იყო დადგმული. იგი მ. კოზანაშვილმა („კოლმეურნე“) კარგად გაიარა — 1.18,22, რაც V შედეგი გახლდათ, მაგრამ მეორე ტრასაზე (48 კარი) იგი მესამე კართან დაეცა და საბოლოოდ შედეგი გააუარესა, რის გამო ორი დაშვების ჯამში X ადგილს დასჯერდა — 2.49,42.

კარგად გამოვიდნენ დინამოელი სპორტსმენები. სამივე საპრიზო ადგილები ლვოველებს ერგოთ. უძლიერესი გახლდათ 18 წლის სპორტის ოსტატი ტ. პივოვარჩიკი — 2.38,51. II და III ადგილები ერგოთ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებს, დებს ნ. და ტ. პერჩატკინებს — 2.41,65 და 2.42,67 შესაბამისად.

დღეს ვაჟები გიგანტურ სლალომში განმეორებით შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

**ო. ნოზაძე.**

(ტელეფონით, „ლელოს“ სპეც. კორ.).

● ტრამპლინიდან ხტომა

## 25-მეტრიანზე

**შარშან,** თებერვალში ბაკურიანში პირველად გაიმართა დაბის პირველობა 25-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში 10-14 წლის ბიჭებისთვის.

კარგმა ტრადიციამ ფეხი მოიკიდა — კვირას ნორჩი მხტომელები მეორედ გამოვიდნენ ამ საინტერესო შეჯიბრების სტარტზე. ამჯამად 18 მონაწილე შეგროვდა. პირველ ცდაში ყველაზე უკეთ დინამოელმა ლ. ხაჩატურიანმა იასპარეზა — 27,5 მეტრზე გადახტა. მეორე ცდაში ტოლი არ ჰყავდა რ. ბოგიშვილს („შრომითი რეზერვები“). მან ტრამპლინის რეკორდი (28,5 მეტრი) დაამყარა. საბოლოოდ ბოგიშვილი 198,5 ქულით მეორე ადგილზე აღმოჩნდა. ჩემპიონობა ხაჩატურიანმა მოიპოვა—200 ქულა (მისი მეორე ნახტომი 27 მეტრს უდრიდა).

მონაწილეთა შორის იყო სპორტის დამსახურებული ოსტატის კობა წაქაძის ვაჟი — 11 წლის კახა. მან 25 და 27,5 მეტრი „იფრინა“, 195 ქულა მოაგროვა და ვ. მინასიანთან (ორივეჯერ 26,5 მ) III-IV ადგილები გაიყო. ორივე მხტომელი „დინამოს“ წევრია.

**გ. ქუმარიტაშვილი,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი.**

●

## „მიფრინავენ“ ჭაბუკები

**ბაკურიანში** გაიმართა საქართველოს პირველობა 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ჭაბუკთა (1962-63 და 1964-65 წწ დაბადებულნი) შორის.

უფროს ასაკში გაიმარჯვა გ. ქუმარიტაშვილმა — 194 ქულა (ნახტომები 74,5 და 75,5 მ). II იყო ზ. ჯანგობეგოვი — 176,1 (69,5 და 71,5), III — გ. ბარბარიანი — 160,7 (ორჯერვე—66 მ).

უმცროს ასაკში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: გ. დიაკონაშვილი — 186,6 (68,5 და 75 მ), ე. ბაკაევი — 166,5 (ორჯერვე 67,5), გ. კოზანაშვილი — 132,4 (56 და 63). ყველა სპორტსმენი ბაკურიანის „დინამოს“ ჯგუფების აღსაზრდელია.

**მ. ჯაბუნია.**

„ლელოს“ კორესპონდენტი **ო. მურვანიძე** აჭარიდან გვატყობინებს:

●

## ხულოელთა წარმატება

**აჭარის** მაღალმთიან რაიონში, ხულოში უყვართ სათხილამურო სპორტი. შარშან ამ რაიონის რვა სპორტსმენმა შეასრულა პირველი თანრიგის ნორმა, თორმეტმა— მეორესი, ხოლო ორასზე მეტმა — მასობრივი თანრიგისა. აქ 1300-მდე მუშა-მოსამსახურე, კოლმეურნე თუ მოსწავლეა ჩაბმული ზამთრის სპორტის სახეობებში.

ამას წინათ ხულოს რაიონის სოფელ ჰედლების თოვლიან ფერდობებზე ჩატარდა აჭარის პირად-გუნდური პირველობა სათხილამურო სპორტში. სტარტზე გამოვიდა ბათუმის, ქედის, შუახევის და ხულოს რაიონის (ორი გუნდი) 55 სპორტსმენი.

5 კილომეტრზე რბოლაში ქალთა შორის I-II ადგილები არავის დაუთმეს ხულოს პირველი გუნდის წევრებმა მ. ჯორბენაძემ და მ. ქედელიძემ, III ადგილი წილად ხვდა შუახეველ ე. კაკელიძეს.

15 კილომეტრზე რბენაში ვაჟთა შორის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ხულოს მეორე გუნდის წარმომადგენელმა ნ. ქედელიძემ, II ადგილზე გამოვიდა ნ. დეკანაძე (ბათუმი).

შეჯიბრების მეორე დღეს კვლავ წარმატებით აიღეს სტარტი ხულოელმა სპორტსმენებმა, რომლებმაც ყველა გარბენი მოიგეს. 10 კილომეტრზე რბენაში ქალთა შორის ფინიშზე პირველი იყო ნ. მეხეშიძე, ხოლო 30 კმ ვაჟებში გაიმარჯვა მისმა თანაგუნდელმა ა. ჩოგაძემ (ორივე— ხულოს პირველი გუნდი), 20 კილომეტრზე შეჯიბრებაში იუნიორთა შორის ჩემპიონი გახდა რ. ჩოგაძე (ხულოს მეორე გუნდი).

ასპარეზობის ბოლო დღეს გაიმართა ამანათრბენი 3X5 კმ ქალთა და 4X10 კმ ვაჟთა შორის. ქალთა შორის გაიმარჯვა ხულოს პირველმა გუნდმა, ასევე წარმატებით იასპარეზეს მისმა თანაგუნდელებმა ვაჟთა შორისაც.

სამი დღის პაექრობის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი უპირატესობით გაიმარჯვა ხულოს რაიონის პირველმა ნაკრებმა (მწვრთნელი ნ. ჯორბენაძე). ქების ღირსია შუახევის რაიონის გუნდიც, რომელიც II ადგილზე გამოვიდა. ქ. ბათუმის მოთხილამურეები III ადგილს დასჯერდნენ, მომდევნო ადგილები დაიკავეს ხულოს II და ქედის ნაკრებმა გუნდებმა.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ დაკომპლექტდა აჭარის ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ჩემპიონატში (ბაკურიანი, თებერვალი).

## მთა ცისკარას კალთებზე

**ორ დღეს** გრძელდებოდა „განთიადის“ აჭარის საოლქო საბჭოს პირად-გუნდური პირველობა სათხილამურო სპორტში ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის. სტარტზე გამოვიდა საწარმოო-დაწესებულებათა 11 გუნდის 121 სპორტსმენი.

ქალთა შორის 3 და 5 კილომეტრზე კარგად იასპარეზა ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშამ ზ. ლესტინამ და ჩემპიონის სახელი მოიპოვა. ვაჟთა შორის 5 კილომეტრზე პირველი იყო მე-5 საამშენებლო ტრესტის მეარმატურე ნ. გაბაიძე. 10 კილომეტრზე რბოლა მოიგო ბათუმის საყოფაცხოვრებო მომსახურების მანქანების ქარხნის წარმომადგენელმა ტ. თევზაძემ.

ქალთა შორის 3X5 კილომეტრზე ესტაფეტაში ბათუმის ხის დასამუშავებელი კომბინატის ტრიომ (გ. ბერიძემ, ნ. ბასოვამ და ვ. თურმანიძემ) ყველა დაამარცხა. ვაჟთა ესტაფეტაში 4X5 კილომეტრზე ჩემპიონი გახდა საყოფაცხოვრებო მომსახურების მანქანების ქარხნის ნაკრები (ვ. გუგუნავა, ე. სოლონიკიდი, გ. კუდრიაშოვი და დ. არშინოვი).

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა ხის დასამუშავებელი კომბინატის გუნდმა (ფიზკულტურის მეთოდისტი რ. ლაზიშვილი). II ადგილზე არიან საყოფაცხოვრებო მომსახურების მანქანების ქარხნის სპორტსმენები, III ადგილი წილად ხვდა ტრანსფორმატორების ქარხნის მოთხილამურეებს.

## თბილისის XI საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში



# „საკოი“ — მოდი, ვიჭიდაოთ!

**ყველაფერი** ძალზე სწრაფად მოხდა. იაპონელმა შიშველი ფეხებით უზადო რკალი მოხაზა ჰაერში და ბეჭებით დაეცა ტატამს.

ერთბაშად იფეთქა სუნთქვაშეკრულმა ტრიბუნამ. მერე, ამ გუგუნში თითქოს სამუდამოდ გაირინდა საოცრად შთამბეჭდავი ნახატი: ფეხზე ამდგარი ათი ათასი კაცი, გამარჯვებულის ბედნიერი სახე და თავზემოთ ხელებშემართული არბიტრი — იპონი!

ამ ორთაბრძოლის მონაწილეებზე სპორტის სასახლის კულისებში უკვე წინა დღეს გაიმართა საუბარი. ის-ის იყო გაირკვა რიგით მეოთხე წონით კატეგორიაში გამარჯვებული, იაპონელებს კი დასაქადნი ჯერ არაფერი ჰქონდათ.

— საერთოდ არ აპირებთ გამარჯვებას?

— ნაკრების პირველი ნომრები, მართალია, შინ დავტოვეთ, მაგრამ ხელცარიელი გაბრუნება მაინც არ გვინდა. თუმცა, მოიცადეთ ხვალამდე, 71 კილოგრამ წონაში კარგი საჩუქარი გვაქვს მომზადებული.

„საჩუქარს“ ხიდეტოსი ნაკანისი ერქვა. საუბარშივე გაირკვა, რომ 21 წლის სპორტსმენს ტალანტით იასიხორო იამასიტოს უთანაბრებდნენ.

იაპონელებს ტრაბახი არ ემარჯვებათ და კაცმა რომ თქვას, არც ესაჭიროებათ. არადა, იმ შეპირებაში თუ „მუქარაში“ საკმაო დოზით ერია ინტრიგა — სწორედ ამ წონაზე ამყარებდნენ იმედს ჩვენი მწვრთნელებიცა და ძიუდოს მოყვარულნიც, დარჩენილ ოთხ წონით კატეგორიაში სწორედ თამაზ ნამგალაური იყო პირველი ადგილის ნაღდი პრეტენდენტი.

ასე თუ ისე, ნაკანისიმ ტატამზე გამოსვლამდე მიიქცია ყურადღება, პირველივე ორთაბრძოლამ კი მაყურებელთა სიმპათიებიც მოუპოვა. იაპონელი სპორტსმენი აშკარად ძლიერი გამოდგა, ორიგინალური იყო მისი ჭიდაობის მანერა და საქციელიც კი. ხიდეტოსი მიუახლოვდა თუ არა თავის პირველ მეტოქეს, ევროპის ორგზის ჩემპიონს კრიუგერს, რალაც შესძახა, რამდენიმე წამის შემდეგ კი ლამაზი ილეთისთვის საკმაოდ მაღალი შეფასებაც დაიმსახურა.

— იარასიაი! — ისევ გაუგებარი შეძახილი და ისევ ლამაზი ილეთი. იაპონელი, ეტყობა, თავსაც აგულიანებდა და მეტოქესაც აფრთხობდა...

71 კგ წონით კატეგორიაში გამართულ ორთაბრძოლებს კიდევ მოვუბრუნდებით, მანამდე კი ტურნირის ორი უკანასკნელი დღის ამბებზე მოვითავოთ სათქმელი.

65 კგ წონაში პრიზიორთა შორის ქართველი ფალავანი, მართალია, ვერ მოხვდა, მაგრამ ტურნირის ნამდვილი აღმოჩენა იყო 18 წლის რამაზ მარგველანი. ჭაბუკი ძიუდოისტი სულ ორჯერ გამოვიდა ტატამზე. პირველ შეხვედრაში ეფექტურად მოუგო (მტკივნეული ილეთი) სსრ კავშირის ნაკრების წევრს ჯანჩატოვს, მეორე შეხვედრაში კი ტოლი არ დაუდო ქვეყნის 1978 წლის ჩემპიონს პეტრე პონომარიოვს — მცირე უპირატესობით დამარცხდა.

და საერთოდ, წლევანდელი ტურნირი მედლების რაოდენობით ნაკლებ მოსავლიანი კი გამოდგა, მაგრამ რამდენიმე ახალი ნიჭიერი სპორტსმენის გამოჩენამ წარუმატებლობა შედარებითი გახადა. ყველაფრით იგრძნობა, რომ მარგველანიც, ფირუზ მარგიანიცა და მალხაზ ბერუაშვილიც დიდი გამარჯვებებისთვის არიან მოწოდებულნი, თუ, რა თქმა უნდა, ახალგაზრდა ძიუდოისტები არაფერს დაიშურებენ იმისთვის, რომ ყოველდღიურად სრულყონ ოსტატობა. მარგიანმა პირველ წრეში გამარჯვების შემდეგ მარცხი იწვნია გამოცდილ პოგორელოვთან. აი, მალხაზ ბერუაშვილმა კი სიურპრიზი შესთავაზა მეტოქეებსაც, სპეციალისტებსაც და მაყურებლებსაც. 19 წლის ფალავანმა ჯერ იყო და ქვემძიმე წონაში ასპარეზობისას დაამახსოვრა თავი ძიუდოს მოყვარულებს, აბსოლუტურ კატეგორიაში კი ერთი მეორის მიყოლებით დაამარცხა შნაიდერი (გფრ), საარი (ფინეთი), შაბანოვიჩი (სსრკ), შემდეგ ფინალში გასასვლელი ორთაბრძოლა მოუგო ევროპის ოთხგზის ჩემპიონს დიტმარ ლორენცს (გდრ), ფინალშიც წარმატებით იასპარეზა ქვეყნის ნაკრების წევრ ჩერემშკასთან და აბსოლუტურ კატეგორიაში თბილისის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულის სახელი მოიპოვა.

ეს ახალგაზრდა სპორტსმენის დიდი წარმატებაა და დიდ ვალსაც ჰკიდებს მას და მის მწვრთნელებსაც.

თბილისის ტურნირი პირველ ყოვლისა მაინც ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების ერთ-ერთი ძირითადი ეტაპი იყო. ფაქტიურად აქ და შემდეგ ზაპოროჟიეში (11 მარტი, სსრ კავშირის ჩემპიონატი) უნდა დაზუსტდეს ნაკრების შემადგენლობა, რომელიც მოსკოვში იასპარეზებს. მწვრთნელებმა მსოფლიო ჩემპიონებს თემურ ხუბულურსა და ნიკოლოზ სოლოდუხინს „სულის მოთქმის“ საშუალება მისცეს, შეიძლება მათი საერთაშორისო ტურნირში გამოუსვლელობა ტაქტიკური მოსაზრებითაც იყო ნაკარნახევი. რაც შეეხება ოლიმპიური ნაკრების ქართველ კანდიდატებს: ბორის გოგიჩაშვილმა ტრავმის გამო არ იასპარეზა. ტრავმები ჰქონდათ დავით ბოდაველსა და შოთა ხაბარელსაც. თბილისის ტატამზე კი მათი გამოსვლა უთუოდ ქვეყნის ნაკრების მწვრთნელთა შეცდომაა.

სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ბიძინა მაზიაშვილის თქმით, ამ ორი სპორტსმენის, რა თქმა უნდა, შედარებითი წარუმატებლობის მიუხედავად, მათი პოზიციები ქვეყნის მთავარ გუნდში მოსახვედრად არ შესუსტებულა. და კიდევ ერთი: თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მოსკოვში, ოლიმპიურ თამაშებზე უთუოდ გაემგზავრება მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი თამაზ ნამგალაური.

მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს იაპონელთა სამოსკოვო გეგმები.

გუნდის მწვრთნელს, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს ნობუიუკი სატოს არ დაუმალავს, რომ თბილისში გუნდის მეორე, მესამე ნომრები ჩამოიყვანა.

— ბუნებრივია, ისინი ჯერ კიდევ რჩებიან კანდიდატებად. თუმცალა, მხოლოდ გამარჯვებულნი. იმ ძიუდოისტების ოლიმპიადაზე გასამგზავრებელ ბილეთებს, ვინც თბილისში დამარცხდა, კარგა გვარიანად წავაჭრით. — სატომ საჩვენებელი და შუა თითი სწრაფად მოკეცა, თითქო მაკრატლით გადაჭრა უხილავი ბილეთი.

— რა მოსაზრებით გამოიყვანეთ პარიზში ორი მძიმეწონოსანი, იამასიტოს ხომ მარტოს შეეძლო როგორც მძიმე, ისე აბსოლუტური კატეგორიის მოგება?

— ეს ჩვენი საიდუმლოა. თქვენ მეტყვით ვინ გამოვა მოსკოვში?

— სიამოვნებით, რამდენიმე წონაში მაინც. მძიმე — ნოვიკოვი, ქვემძიმე — ხუბულური, 71 — ნამგალაური, 65 — სოლოდუხინი, აბსოლუტური — ნოვიკოვი.

— გულახდილობაზე გულახდილობითვე გიპასუხებთ. ენდო მხოლოდ სათადარიგოა. იამასიტოს, რა თქმა უნდა, ფენომენალური მონაცემები აქვს, მაგრამ მაინც ადამიანია. ასე ვთქვათ, თავს ვიზღვევთ. ჯერჯერობით კიდევ ორ სპორტსმენს, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონს ფუძისა და მსოფლიო ჩემპიონს კაცუკის ვვარაუდობთ ნაღდ კანდიდატებად. დანარჩენებს იაპონიის ჩემპიონატი დაასახელებს.

სხვათაშორის, პარიზში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში თამაზ ნამგალაური სწორედ კაცუკის შეხვდა. უგებდა კიდეც და ფაქტიურად უკანასკნელ წამებზე დამარცხდა. სხვა დანარჩენ ორთაბრძოლებში თამაზმა გაიმარჯვა.

* * *

**ევროპის** ორგზის ჩემპიონმა კრიუგერმა თავჩაღუნულმა დატოვა ტატამი. იაპონელმა ხიდეტოსი ნაკანისიმ, რომ იტყვიან, დაჯაბნა მეტოქე. მეორე წრე. ნაკანისი და რიესი (გფრ). ლამაზი გდებების კასკადი — ვაზარი, 2 იუკო. მესამე წრე. ნაკანისი — ნევზოროვი. იპონი! ისევ იაპონელმა გაიმარჯვა. მეოთხე შეხვედრა იაპონელთა იმედმა თამაზ კარიაულს იუკოთი მოუგო და ფინალში გავიდა.

ამასობაში ნამგალაურმა გზიდან ჩამოიცილა მეჩკოვსკი, მიტნიკი, პარჩიევი და ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი უნგრელი მოლნარი.

ფინალი. ნამგალაური — ნაკანისი.

შეხვედრამ წუთზე ცოტა მეტს გასტანა. ყველაფერი რამდენიმე წამში გადაწყდა. იაპონელმა ფეხებით რკალი მოხაზა ჰაერში და ბეჭებით დაეცა ტატამს — იპონი! თუმცა, ამ ორთაბრძოლას თავისი წინასიტყვაობაც ჰქონდა, დასაწყისიც, დაბოლოებაც და ეპილოგიც.

სწორედ ამის შესახებ მინდა მოვუთხრო მკითხველს:

**ბიძინა მაზიაშვილი:** ტატამზე გასვლის წინ ვურჩიეთ, რაც შეიძლება ხშირად ეხმარა გადავლება. იაპონელები ვერ გუობენ სარტყელში ხელის ჩავლებას.

**ნობუიუკი სატო:** განსაკუთრებული არაფერი მითქვამს. მიდი, იჭიდავე-მეთქი. ხიდეტოსის შეგულიანება არ სჭირდება.

**თამაზ ნამგალაური:** იაპონელი მაინც იაპონელია. პირველი ნომერია თუ მეორე, დიდი განსხვავება არ არის. პარიზში დამარცხებისთვის რევანში უნდა ამეღო.

**ხიდეტოსი ნაკანისი:** ფინალური ბრძოლისთვის განსაკუთრებულად არ მოვმზადებულვარ. ისეთივე განწყობილებით გავდიოდი, როგორც სხვა შეხვედრებისას.

**შეკითხვა თამაზის მწვრთნელს ანზორ მარტყოფლიშვილს:** ყვირილისა ხომ არ ეშინია-მეთქი. მარტყოფლიშვილმა მხოლოდ გაიღიმა.



თ. ნამგალაური.

შ. შანიძის მეგობრული შარჟი.

მეტოქეები ერთმანეთს უახლოვდებიან. იაპონელი [illegible] ობს თავს — [illegible] რი შეძახილი [illegible] სუხო რეაქცია.

**ხ. ნაკანისი:** შეძახილი? ბრძოლისთვის განმაწყობს-ხოლმე.

**თ. ნამგალაური:** რაღაც შესძახა. არ ვიცი, რა, მაგრამ ქვეყანა კი შემიყარა. გავბრაზდი და მახსოვს, რომ რაღაც ჩავიბუხუნე.

ნახევარი წუთი მიიწურა. მანამდე იაპონელმა თავისი საყვარელი გდება სცადა. თამაზმა სასწაულით მოახერხა ჰაერში ამოტრიალება. ახლა ნამგალაურმა გადაავლო მარჯვნიდან. იაპონელი ფეხებში შეუვარდა და თამაზი ისევ სასწაულით იცილებს ხიფათს.

**თ. ნამგალაური:** მარცხნიდან გადავლების საშუალება არ მომცა. მარჯვნიდან კი კარგად არა მაქვს დამუშავებული, მაინც ვცადე. თან არც კონტრილეთს მოველოდი. იაპონელები „ფეხებიდან აყვანას“ არ ხმარობენ.

**ნ. სატო:** გავრცელებულია მცდარი აზრი, რომ იაპონელები ამ ილეთს არ ვიცნობთ (სატო გადავლებას გულისხმობს). სახელწოდებასაც გეტყვით — „ობიტორი გაესი“. უბრალოდ, ჩვენში ამ ილეთს არ იყენებენ — დიდი ფიზიკური ძალა სჭირდება. სამწუხაროდ, თქვენნაირი ღონიერი ბიჭები არა გვყავს.

...კიდევ ნახევარი წუთი გადის.

**თ. ნამგალაური:** როგორც იქნა, მოვახერხე მარცხნიდან გადავლება. პირველ წარუმატებლობას არ შევუშინებივარ. მარცხნიდან, დარწმუნებული ვიყავი, ვერაფერს მომიხერხებდა.

ნაკანისიმ გაიმეორა კონტრილეთი. მაგრამ უფრო ზუსტი და სწრაფი ქართველი ფალავანი გამოდგა. იაპონელი დაიძაბა, წინააღმდეგობის გაწევა სცადა. ამან დაღუპა კიდეც.

**თ. ნამგალაური:** რომ მოდუნებულიყო, ასე აღარ დაეცემოდა.

**ბ. მაზიაშვილი:** ასე რომ არ გაძალიანებოდა, გდება შეიძლება ვაზარით ან იუკოთი შეფასებულიყო. გაფშეკილი კაცის გადაგდება ბევრად იოლია.

**ხ. ნაკანისი:** ნებისმიერი ილეთი მთლიანად ერთი მეტოქის დამსახურება ან მეორის შეცდომა არ არის. ეტყობა, მეც შევცდი და ნამგალაურმაც იმარჯვა. სხვა ვერაფერს ვიტყვი, ახლაც არ ვიცი, რა მოხდა...

**თ. ნამგალაური:** რა თქმა უნდა, გამიხარდა. გამარჯვება ყოველთვის გამარჯვებაა, მაგრამ იპონით და ისიც იაპონელთან...

**შეკითხვა ნ. სატოს:** ნაკანისი ერთთავად რაღაცას გაიძახოდა, ხომ ვერ გაგვიშიფრავდით?

იაპონელი ძიუდოისტი, როგორც გაირკვა, სხვადასხვა ვარიაციებს ხმარობდა: „ირასიაი!“, „საკოი“, ხანაც ჩვეულებრივ შესძახებდა ხოლმე. პირველი „მობრძანდით, გეთაყვას“ ნიშნავს, მეორე — „მოდი, ვიჭიდაოთ!“

**თ. ნამგალაური:** აი, თურმე რა ყოფილა, კეთილი და პატიოსანი, თუ მიმიპატიჟებს, ისევ მივალ...

**ი. ბერიაშვილი.**

●

ტექნიკური შედეგები

**60 კგ. 1. კ. ხარაგუტი (იაპონია), 2. ა. ემიჟი, 3. ჰ. მარაევი და ა. სონგაილო (ყველა — სსრკ).**

**აბსოლუტური: 1. მ. ბერუაშვილი (საქართველო), 2. ვ. ჩერეშკა (სსრკ), 3. დ. ლორენცი (გდრ) და ნ. კუვაევი (სსრკ).**

* * *

**ს უ რ ა თ ზ ე:** ამ ლამაზმა გდებამ თ. ნამგალაურს წმინდა გამარჯვება მოუტანა.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

● ქართული ჭიდაობა

# გაიმარჯვეს განთიადელმა ფალავნებმა

**გორის** საჭიდაო დარბაზში ჩატარდა საქართველოს პირად-გუნდური პირველობა ჭაბუკებს (1962-63 წლებში დაბადებულნი) შორის ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში „განთიადის“, „ბურევესტნიკის“, „ლოკომოტივის“, „დინამოსა“ და „კოლმეურნეს“ გუნდები მონაწილეობდნენ.

კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადებით გამოირჩეოდნენ განთიადელები ე. მსხალაძე და დ. ჩალაური, რომლებმაც თავიანთ წონაში პირველობა არავის დაუთმეს.

უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ პერიოდში ქართული ჭიდაობის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ჩვენს რესპუბლიკაში, მაგრამ მიუხედავად ამისა, სპორტსაზოგადოებებმა ჯერ კიდევ ვერ „დაძრეს ყინული“. ამაზე აღნიშნულ შეჯიბრებაში მონაწილეთა უმრავლესობის მომზადების დაბალი დონეც მეტყველებს. ქართული ჭიდაობისთვის ზრუნვა, პირველ ყოვლისა, სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ ღვიძლი საქმეა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ სპორტსაზოგადოებაშიც ვერ დგას საქმე სასურველ დონეზე — პირველობაში „კოლმეურნე“ 4-კაციანი კოლექტივით ჩაება და ბუნებრივია, გუნდური ჩათვლა ვერ მიიღო. ნუთუ ქართული ჭიდაობის 18 ჯგუფიდან ერთი სრულყოფილი გუნდის დაკომპლექტება ვერ მოხერხდა? ვერც სპორტსაზოგადოება „დინამოს“ წარმომადგენლებმა გამოიჩინეს თავი: გუნდური V ადგილი ასეთი სოლიდური ორგანიზაციისთვის არადამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. სპორტსაზოგადოება „შრომითმა რეზერვებმა“ საერთოდ აარიდა თავი შეჯიბრებას.

გუნდურ ჩათვლაში ყველას „განთიადის“ წარმომადგენლებმა აჯობეს. II-III ადგილებზე შესაბამისად „ბურევესტნიკისა“ და „ლოკომოტივის“ მოჭიდავეები გავიდნენ.

პირად ჩათვლაში წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: თ. გეგელიძემ („განთიადი“), ჯ. გუნცაშვილმა („ბურევესტნიკი“); ი. ქათამაძემ, გ. ბაისონაშვილმა, ს. ჭონიშვილმა (სამივე — „კოლმეურნე“), ე. მსხალაძემ, კ. ფილიშვილმა, დ. ჩალაურმა (სამივე — „განთიადი“).

**ხ. მაისურაძე,**
**საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი ქართულ ჭიდაობაში.**

● ჭადრაკი

## ფინიში ბად-კისინგენში

ბად-კისინგენში (გფრ) დამთავრდა ოთხი დიდოსტატის ორწრიანი მატჩ-ტურნირი. I ადგილი დაიკავა მსოფლიო ჩემპიონმა ა. კარპოვმა — 4,5 ქულა. II-III ადგილები გაიყვეს ბ. სპასკიმ (ორივე — სსრ კავშირი) და რ. ჰიუბნერმა — 3-3, IV ადგილზეა —ვ. უნციკერი (ორივე — გფრ) — 1,5.

ამ ტურნირში კარპოვმა 3 შეხვედრა მოიგო და ამდენივე ყაიმით დასრულა. სპასკიმ ექვსივე პარტია ყაიმით დაამთავრა.

## გვირგვინოსანი დაამარცხა

**რიგა, 11 თებერვალი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.).** აქ გრძელდება სსრ კავშირის ახალგაზრდა ოსტატთა ჩემპიონატი, რომელშიც კიდევ ორი ტური (XI, XII) გათამაშდა.

XI ტურში ზ. აზმაიფარაშვილმა 39-ე სვლაზე დაამარცხა ვ. ჩეხოვის (მოსკოვი) გვირგვინოსანი. გ. ზაიჩიკი დაუზავდა ა. ხარიტონოვს, მ. ჩიბურდანიძე — ე. კენგისს, ს. ლპუტიანი — ზ. ლანკას, ა. ვლადიმიროვი — ვ. ეინგორნს, ა. ივანოვი — ბ. გავრიკოვს და ი. პოლოვოდინი — ე. მაგერამოვს.

XII ტურში ზაიჩიკმა 23 სვლაში გაანადგურა გავრიკოვის პოზიცია და გაიმარჯვა. ჩიბურდანიძე დამარცხდა ლ. ფსახისთან. 40-სვლიანი ბრძოლის დასასრულს ყაიმზე შეთანხმდნენ აზმაიფარაშვილი — ხარიტონოვი. კენგისი დაუზავდა ლპუტიანს. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

12 ტურის შემდეგ ლიდერობენ ე. კენგისი (რიგა)—7,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ზ. აზმაიფარაშვილი — 7, ე. ვლადიმიროვი (ალმა-ათა) — 6,5 (1).

**ხ. მდივნიშვილი.**

## კოეფიციენტის მიხედვით

**სსრ კავშირის** საჭადრაკო ფედერაციის საკლასიფიკაციო კომისიამ გამოაქვეყნა საბჭოთა მოჭადრაკეების ინდივიდუალური კოეფიციენტები 1980 წლის 1 იანვრისთვის. სიაში მოცემულია კოეფიციენტები 475 ვაჟისა და 70 მოჭადრაკე ქალისა, რომლებმაც ბოლო სამი წლის მანძილზე ითამაშეს არანაკლებ ოცდაათი პარტიისა (ქალებმა — ოცდაორისა).

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები კოეფიციენტის მიხედვით შემდეგნაირად განლაგდნენ:

**ვაჟები:** თ. გიორგაძე — 2556, ე. გუფელდი — 2505, ბ. გურგენიძე — 2466, ე. უბილავა — 2481, გ. ზაიჩიკი — 2430, ს. ჩეჩელიანი — 2418, ზ. სტურუა— 2408, ზ. აზმაიფარაშვილი — 2389, ზ. მიქაძე — 2368, დ. გედევანიშვილი — 2336, ა. ბოკუჩავა — 2326, ი. ჩიქოვანი — 2314, ჯ. ბერაძე — 2256, მ. შიშოვი — 2216;

**ქალები:** მ. ჩიბურდანიძე — 2400, ნ. გაფრინდაშვილი — 2367, ნ. ალექსანდრია — 2362, ნ. იოსელიანი — 2326, ნ. გურიელი — 2279, თ. ხუგაშვილი — 2199, ც. კობაიძე — 2170, ქ. მელაშვილი — 2155, ა. ჩაიკოვსკაია — 2138.

## 2 გოგონა და 68 ვაჟი

**ქუთაისი, 11 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ).** გუშინწინ სამთო ტექნიკუმის სააქტო დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატის შერჩევითი მასობრივი ტურნირი.

წილისყრაში მონაწილეობა მიიღო 70 მოჭადრაკემ, მათ შორის ერთმა ოსტატმა (წყალტუბოელმა ჯ. ბერაძემ), 34 ოსტატობის კანდიდატმა და ორმა გოგონამ — სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონმა გოგონებს შორის თამილა მესხმა და პირველთანრიგოსანმა ირმა აბზიანიძემ (ორივე — ქუთაისი), რომლებიც უკონკურსოდ ითამაშებენ. ტურნირი ჩატარდება შვეიცარიული სისტემით (13 ტური). I ადგილზე გამოსული მოჭადრაკე დაიშვება ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში (თბილისი, 1-22 ივნისი), ხოლო II-III ადგილების მფლობელნი — პირველ ლიგაში (თელავი, 3-23 აპრილი.).

გუშინ გაიმართა I ტურის შეხვედრები. ასპარეზობა გამარჯვებით დაიწყეს ჯ. ბერაძემ, ცნობილმა ეტიუდისტმა, ოსტატმა კომპოზიციაში დ. გურგენიძემ (საგარეჯო), გ. გიორგაძემ, კ. შავგულიძემ (ორივე — ქუთაისი), რ. კაპანაძემ (თბილისი) და სხვებმა. სტარტი წარმატებით აიღეს გოგონებმაც: მესხმა სძლია ზ. დოლიძეს (ტყიბული), აბზიანიძემ — ზ. ჩიტაძეს (ქარელი).

ტურნირი 24 თებერვლამდე გასტანს.

**ზ. ბურკაძე,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.**

## ქუთაისის ჩემპიონები

დამთავრდა ქუთაისის გოგონათა და ვაჟთა ჩემპიონატები.

გოგონათა ტურნირში 11 მოჭადრაკე მონაწილეობდა. უძლიერესის სახელი მოიპოვა მე-15 საშუალო სკოლის მოსწავლემ ე. ფახიროვამ — 9 ქულა. II-III ადგილები გაიყვეს ლ. შანიძემ და ი. ესებუამ — 7,5-7,5.

ვაჟთა შეჯიბრებაში სტარტზე 34 მოჭადრაკე გამოვიდა, მათ შორის უკონკურსოდ — ორი გოგონა. ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრა მე-15 საშუალო სკოლის მოსწავლემ ქ. შავგულიძემ — 8. II-III ადგილები გაიყვეს მწვრთნელმა და მისმა აღსაზრდელმა — თ. ხარლამიდიმ და თამილა მესხმა — 6,5-6,5. IV-VI ადგილებზე არიან ირმა აბზიანიძე, ზ. ლომინაძე და ტ. მოდებაძე — 6-6.

**გ. ზურაშვილი.**

●

წიგნის თარო

## „დედოფალი ულოცავს დედოფალს“




— ასეთი სათაური აქვს თენგიზ გიორგაძის ახლახან გამოსულ წიგნს, რომელიც გამომცემლობა „ნაკადულმა“ დასტამბა. ეს ახალი წიგნი ეძღვნება ქალთა შორის მსოფლიო პირველობაზე ნ. გაფრინდაშვილი — მ. ჩიბურდანიძის მატჩს, რომელიც 1978 წლის შემოდგომაზე ბიჭვინთაში გაიმართა.

წიგნში მკითხველი ნახავს ნარკვევებს მეტოქეთა შესახებ, მათ წარმატებათა ცხრილებს, მატჩის საზეიმო გახსნისა და მ. ჩიბურდანიძის ჭადრაკის „დედოფლად“ კურთხევის აღწერას, მატჩზე პრესის გამოხმაურებას და ორთაბრძოლაში გათამაშებულ თხუთმეტივე პარტიას. ყოველ პარტიას წინ უსწრებს მისი პოპულარული მიმოხილვა და ერთვის ცნობილი დიდოსტატებისა და ოსტატების შენიშვნებისგან შედგენილი კომენტარები.

წიგნი, რომელიც უხვადაა ილუსტრირებული, გამოცემულია ტირაჟით 10 000 ცალი და ღირს 40 კაპ.

● კლასიკური ჭიდაობა

## ჩემპიონები გამოვლინდნენ

მოსკოვში დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი. წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ: ქ. უშკემპიროვი (ალმა-ათა), პ. ჩიჟაევი (კიევი), ვ. კონსტანტინოვი (ულიანოვსკი), ბ. კრამარენკო, ს. ნალბანდიანი (ორივე — დონის როსტოვი), ა. ბიკოვი (ალმა-ათა), გ. კორბანი (მოსკოვი), ი. კანიგინი (ვიტებსკი), ნ. ბალბოშიანი (მოსკოვი) და ა. კოლჩინსკი (კიევი).

● მძლეოსნობა

## ჭოკით 564 სანტიმეტრზე

**მოსკოვში,** ძმები ზნამენსკების სახელობის მანეჟში გამართულ ქვეყნის თასის გათამაშებაში ირკუტსკელმა იუნიორმა კ. ვოლკოვმა ჭოკით ხტომაში მსოფლიოს მიღწევა დაამყარა —564 სმ სიმაღლეს გადაევლო. აქვე ვაჟთა შეჯიბრებაში 100 მეტრზე იმარჯვა კიეველმა ვ. იგნატენკომ — 10,52. 400 მეტრზე — მოსკოველმა მ. ლინგემ — 47,6, 800 მეტრზე — ნ. კიროვმა — 1.50,2, ხოლო 60 მეტრზე თარჯრბენში — ი. ჩერვანოვმა (ორივე — ბელორუსია) — 7,65. სამხტომი მოიგო გ. კოვტუნმა (დონეცკი) — 16,43.

ქალთა მაჩვენებლებიდან განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ბელორუსიის გუნდის წევრის ვ. ახრამენკოს წარმატება სიმაღლეზე ხტომაში — 192 სმ. როსტოველმა ლ. კონდრატიევამ მეორე გამარჯვება იზეიმა — ამჯერად 100 მეტრზე რბენაში — 11,53.

## ორი მიღწევა

**ნიუ-იორკის** „მედისონ სკვერ გარდენში“ გამართულ ასპარეზობაზე ამერიკის ქალთა ნაკრები გუნდის წევრებმა ორი მსოფლიო მიღწევა დაამყარეს. მ. დეკერმა 1500 მეტრზე რბენაში ადრინდელ რეკორდს 2 წამზე მეტი ჩამოაკლო — 4.00,8. ხოლო ს. ჰაიტაუერმა 60 მეტრზე თარჯრბენში 7,47 წამი აჩვენა.

● ბადმინტონი

## ჯერ გუნდური, მერე პირადი...

**ხარკოვში** დამთავრდა საკავშირო გუნდური პირველობა ბადმინტონში. ბელორუსიის ნაკრებმა გადამწყვეტი შეხვედრა მოუგო მოსკოვის გუნდს და გაიმარჯვა საერთო ანგარიშით 4:3, რამაც ამ რესპუბლიკის სპორტსმენებს პირველობა მოუტანა. III ადგილზეა უკრაინის კოლექტივი. ახლა სპორტსმენები ბრძოლას აგრძელებენ პირად პირველობაში, რის შემდეგ შეიქმნება ქვეყნის ნაკრები. იგი ევროპის პირველობაში გამოვა.

● ხელბურთი

## ნაგება და მოგება

კაუნასსა და მინსკში გაიმართა ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის II და III ტურის შეხვედრები.

**კაუნასში** თბილისის „ბურევესტნიკი“ ადგილობრივი „გრანიტასის“ წინააღმდეგ თამაშობდა და დამარცხდა — 25:28, ხოლო მესამე ტურში ჩვენმა სტუდენტებმა მოუგეს მოსკოვის „კუნცევოს“ — 31:28.

ამ ჯგუფში დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ზიი (ზაპოროჟიე) — „კუნცევო“ (მოსკოვი) 25:23, მაი — „პოლიოტი“ (ჩელიაბინსკი) — 25:23, ზიი — „პოლიოტი“ 24:15, მაი — „გრანიტასი“ 28:25.

**მინსკის** ჯგუფში მეორე ტურმა ასეთი შედეგები მოგვცა: ცსკა — „კრისტალი“ (ტაშკენტი) 27:16, ფისკ (კრასნოდარი)—ასკ (კიევი) 23:26, ასკ (მინსკი)—ასკ (ლვოვი) 24:20. მესამე ტურში „კრისტალმა“ მოუგო ლვოვის არმიელებს 28:27, ცსკა-მ — კიევის ასკ-ს 26:15, მინსკის ასკ-მ დაამარცხა ფისკ-ი 23:19.

● კრივი

## გამარჯვება მოაქვს სტივენსონს

ჩრდილოეთ კაროლინის შტატის ქალაქ შარლოტაში გაიმართა აშშ-სა და კუბის მოკრივეთა ნაკრები გუნდების მატჩი. ბოლო შეხვედრაში მძიმე წონის ამერიკელმა ჯ. კლარკმა წააგო ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონთან კუბელ თ. სტივენსონთან, რამაც ასპარეზობის ბედი კუბის ნაკრების სასარგებლოდ გადაწყვიტა — 7:5.

● ფეხბურთი

## ოლიმპიელთა ტურნირი კოლუმბიაში

**ბოგოტა.** როგორც ვიტყობინებოდით, არგენტინის ფეხბურთელებმა მოიპოვეს ოლიმპიური საფეხბურთო ტურნირის ფინალის საგზური კოლუმბიაში მიმდინარე სამხრეთ ამერიკის 7 ქვეყნის შესარჩევ ტურნირში. არგენტინელებმა ბოლო თამაშში მოუგეს ბოლივიის ნაკრებს — 4:0 (2:0) და 10 ქულით 12 შესაძლებლიდან გაინაღდეს პირველობა.

გაიმართა სხვა შეხვედრებიც. პერუელებმა ანგარიშით 2:0 დაამარცხეს ვენესუელის გუნდი, ხოლო კოლუმბიელებმა—ბრაზილიელები — 5:1.

ფინალის მეორე საგზურის ბედი ჯერ არაა გადაწყვეტილი. ყველაფერი გაირკვევა ბოლივია — პერუსა და კოლუმბია — არგენტინის შეხვედრებში.

## ჩემპიონები ემზადებიან

როგორც ბერლინის გაზეთი „დოიჩეს შპორტეხო“ იუწყება, ოლიმპიური ჩემპიონები — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელები ენერგიულად ემზადებიან მოსკოვის ოლიმპიადისთვის.

გუნდს დაგეგმილი აქვს 11 საკონტროლო მატჩი: მათ შორის 3 უკვე ჩაატარა რუმინეთის საკლუბო გუნდებთან, შემდეგ გდრ-ის ნაკრები 13 თებერვალს ერფურტში შეხვდება ესპანეთის მეორე ნაკრებს, 20 თებერვალს ასევე საკუთარ მინდორზე ითამაშებს დანიის პირველი ლიგის კლუბ „აარჰუსთან“, 4 მარტს აქვე — ჩეხოსლოვაკიის პირველი ლიგის რომელიმე კლუბთან, 12 მარტს — ბუდაპეშტში უნგრეთის ოლიმპიურ ნაკრებთან, 18 მარტს საკუთარ მინდორზე ჩეხოსლოვაკიის პირველი ლიგის რომელიმე კლუბთან, 26 მარტს აქვე — შვეციის ექს-ჩემპიონ „გეტებორგთან“, 2 აპრილს თავის მინდორზევე — რუმინეთის ოლიმპიურ ნაკრებთან და 15 აპრილს — ჰოლანდიის ოლიმპიურ ნაკრებთან.

## ვინ შეცვლის კიგანს?

**სანამ** კიგანი „ჰამბურგერ შპორტფერაინში“ თამაშობს, იქ ყველაფერი წესრიგში იქნება, — ასეთია მიმომხილველთა აზრი. მაგრამ ისიც კარგად არის ცნობილი, რომ როგორც კი დამთავრდება ახლანდელი სეზონი, ინგლისელი ფეხბურთელი ტოვებს ჰამბურგს. ვინ შეცვლის მას?

„ჰამბურგერ შპორტფერაინის“ მენეჯერმა გ. ნეცერმა განაცხადა:

— კიგანს ჩვენს გუნდში შეცვლის ის მოთამაშე, რომელიც მასსავით ეფექტიანად ითამაშებს მთელს მინდორზე. ჩვენ შევადგინეთ კიდეც შესაბამის მოთამაშეთა სია. ერთი ასეთი კანდიდატია ბონჰოფი, რომელიც აღარ აპირებს „ვალენსიაში“ დარჩენას, მაგრამ, ამასთანავე, ვფიქრობთ, რომ ბონჰოფის მსგავსი „მეომრები“ ჰამბურგშიც გვყავს, ვთქვათ, ბულიანი, ჰარტვიგი და იაკობსი.

ვფიქრობ, უფრო მისაღებია სიმონსენის კანდიდატურა, რომელსაც მალე გაუცრუვდა იმედი „ბარსელონაზე“. იგი კიგანზე ადრე იყო მიჩნეული ევროპის № 1 ფეხბურთელად.

„ჰამბურგერ შპორტფერაინში“ დადგა კალცის პრობლემაც. კალცმა მოითხოვა მასაც იმდენი გადაუხადონ, რამდენსაც აძლევენ კიგანს, რომლის ტოლ მოთამაშედაც მიაჩნია საკუთარი თავი. ეს იოლი საქმე არაა, ვინაიდან კლუბის ფინანსური მდგომარეობა ამჟამად შერყეულია, განსაკუთრებით ოფენბახის „კიკერსთან“ მარცხის შემდეგ გფრ-ის თასზე. ნეცერის აზრით, რჩება ერთი გამოსავალი — კალცს გადაუხადონ იმ შემოსავლიდან, რომელსაც კლუბი მიიღებს კიგანის გაყიდვის შემდეგ.

ახლა „ჰამბურგერ შპორტფერაინს“ ტრავმირებული კალცისა და ბულიანის გარეშე უხდება თამაში, ამოცანები კი მეტად სერიოზული აქვს — შეინარჩუნოს გფრ-ის ჩემპიონობა და მოიპოვოს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი.

**გ. თორელი.**

● ჩოგბურთი

## ბორგი — № 1

მსოფლიოში უძლიერესი შვედი ჩოგბურთელი ზედიზედ მესამედ იქნა აღიარებული „ჩრდილოეთის ქვეყნების“ № 1 სპორტსმენად. ჟიურიმ მას მიანიჭა უპირატესობა ნორვეგიელ მძლეოსან ქალ გრეტე ვაიცთან შედარებით.

ეს ჯილდო დაწესებული იქნა 1962 წელს. 1972 და 1975 წლებში იგი მიეკუთვნა ლასე ვირენს (ფინეთი), ერთხელ — ინგემარ სტენმარკს (შვეცია).

## კონორსი — აშშ-ს ჩემპიონი

ფილადელფიაში გაიმართა აშშ-ის პირველობა ჩოგბურთელ ვაჟთა შორის.

ნახევარფინალურ მატჩებში კონორსმა დაამარცხა მაიერი, მაკინროიმ — სადრი.

დიდი ინტერესი გამოიწვია კონორსისა და მაკინროის ფინალურმა მატჩმა. იგი მეტად შეუპოვრად მიმდინარეობდა და დამთავრდა კონორსის გამარჯვებით — 6:3, 2:6, 6:3, 3:6, 6:4.

ამრიგად, კონორსი აშშ-ის ჩემპიონი გახდა.

რედაქტორი ა. ბასილაია.

**15-17 თებერვალი**

**ზედა ეწერის მეურნეობა-ტექნიკუმის სპორტული დარბაზი**

**სიმძიმეების აწევა**

**უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილი შეჯიბრება.**

სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა 1958-1960 წ. წ. დაბადებულ იუნიორებს შორის. მონაწილეობენ: აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, თელავის, საჩხერის, ზუგდიდის, წყალტუბოს და სხვა რაიონების ნაკრები გუნდები.

დასაწყისი 12 საათზე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე 10034